

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი(თანამდებობის პირი) – იოსებ მათეშვილი

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება“

კომისიის დასახელება - იურიდიული კომისია

არჩევის წესი - მაჟორიტარული (სიღნაღი, სოფ.ნუკრიანი)

საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 26 ოქტომბრამდე

ანგარიშის ტიპი(რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18

*საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 9

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 6

*კომისიის სხდომებზე დასწრება -

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 5

*ფრაქციის სხდომებზე დასწრება -5

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები -

ინიცირებულ საკითხებზე გამოიყენა სამართლებრივი აქტები -

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

საკრებულოს სხდომებზე გამოტანილი, ჩემ მიერ მხარდაჭერილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა, იყო მნიშვნელოვანი.

6. საკრებულოს წევრის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

ა) სოფ.ნუკრიანის ცენტრში არსებული სკვერის მოწყობა;

ბ) სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ.ნუკრიანის №1 საჯარო სკოლაში შიდა სველი წერტილებისა და გათბობის სისტემის რეაბილიტაცია;

გ) სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ.ნუკრიანის №2 საჯარო სკოლაში შიდა სველი წერტილების მოწყობა;

დ) სოფ. ნუკრიანის №18 საბავშვო ბაღში ეზოს საპირფარეშოს მოწყობა.

7. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 41 და თითოეულ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 40-50.

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები -

დასაქმებასთან დაკავშირებული, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები -

(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

რეკომენდაცია გაეწია მოქალაქეებს ფინანსური დახმარების მისაღებად.

შეგვების თარიღი: 26.10.2019 წელი

წარდგენის თარიღი: 26.10.2019 წელი

ხელმოწერა:



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ მათეშვილის ანგარიში
გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე იურიდიული კომისიისა და ფრაქციის „ქართული ოცნება“ წევრი. 2018 წლის ნოემბრიდან დღემდე ბევრი რამ გაკეთდა სოფელ ნუკრიანში: რეაბილიტაცია ჩაუტარდა ნუკრიანის ცენტრში მდებარე სკვერს, შეკეთდა და მოასფალტდა „მარტაანის“ გზა, რამაც მოსახლეობის მოწონება დაიმსახურა. უბნებში დაიდგა სანაგვე ურნები, მოიხრემა მინდორში მისასვლელი გზა. ასევე „კრაწაანთ“ უბნის გზა. აშენდა იუსტიციის სახლი. ნუკრიანის N1 და N2 საჯარო სკოლის საპირფარეშოები კაპიტალურად შეკეთდა. ფინანსური დახმარება გაეწიათ გაჭირვებულ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით, ასევე ომის სამ ვეტერანს - 150 ლარით.

საანგარიშო პერიოდში ხშირად ვხვდებოდი სოფლის მოსახლეობას, ვუსმენდი მათ და რათქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში ვაგავარებდი საკითხებს. ამომრჩევლები მომავალში მოითხოვენ, რომ გაფართოვდეს „ქოტორის“ სასაფლაოს ტერიტორია, ასევე მოსახლეობის ვენახებთან წყლის მიღების ჩაფენას და ე.წ. რეზერვუართან მიყვანას რათა, შემდგომში მათ შეძლონ ვენახების მორწყვა.

2020 წლისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია „ქოტორის“ ასასვლელი გზის მოასფალტება.

სოფელ ნუკრიანში კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ჩემი დიდი სურვილია, რომ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების პერიოდში შევძლო ამომრჩევლების მიერ დასმული პრობლემების მოგვარება.

საკრებულოს წევრი:

იოსებ მათეშვილი